

საქართველოში ზოგიერთი ატმოსფერული ნაკადის მოდელირება ქარის ენერჯის თვალსაზრისით

თეიმურაზ დავითაშვილი, გიორგი რუხაია, მერი შარიქაძე

ისტორიულად ქარის ენერჯია გამოიყენებოდა ნაოსნობაში, ქარის წისქვილებში და ქარის ტუმბოებში, დღეს კი კაცობრიობა ძირითადად იყენებს ქარს ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად, რომლის წარმოება, როგორც განახლებადი ენერჯისა მუდმივად იზრდება. საქართველოში ქარის ენერჯის გამოყენება განვითარების საწყის ეტაპზეა. დასავლეთ საქართველოში ქარის ელექტროსადგურების შესაძლო განვითარების მიზნით ჩვენს მიერ სამგანზომილებიანი ჰიდროსტატიკური მეზომასშტაბური მოდელის საფუძველზე შესწავლილია ჰაერის ნაკადების ტრანსფორმირება საქართველოს ტერიტორიაზე არასტაციონარული ფართომასშტაბიანი ფონური პროცესების პირობებში. ასევე გამოკვლეულია მდინარე რიონის ხეობაში ძლიერი ქარების რეჟიმი მათი ზოგიერთი სტატისტიკური მახასიათებლების საშუალებით.